# შოლტი

№ 21

ამას წინეთ ქ. მოსკოვში აღმოჩენილ იქმნა მავნებლების დიდი ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად ქონდა სიმშილით გაეჟლიტა საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი.



ყველა ჯურის მავნებლები
შეიკრიბნენ ერთად ბჭობად,
სთქვეს და გეგმა შეადგინეს
საბჭოების დასამხობად.

მაგრამ ბოლოს უცაბედათ
გადაექცათ ბედი მახეთ...
მიბრძანდით და მერვე გვერდზე
თვითონ თქვენი თვალით ნახით!

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей

# სასწრაფო გარათი

სალამ ალეიქუმ ჩემს ძმასა და ბირის ზიარება დიმიტრი კოლბალს. კაცო, როგორ გამიხარდა როდესაც გავიგე, რომ შენ უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში მეცხვარეობის სარქლად დაგნიშნეს. შენ ხომ მეცხვარეობისა არაფერი გაგეგება რა და ეს მიტომ მიხარია, რომ მე კიდევ ალბათ აგრონომად დამნიშნავენ სადმე, თუმცა ამ საქმისა ინჩი არ მესმის.

მე რომ შენი მოხერხება ვიცი, ალბათ კარგა მოითბობ ხელს: ყველი, ერბო, მატყლი ოხრათ გექნება.

გავიგე მწყემსებმა იოსებ აბაშიძემ და კომოთე მიძაიძემ თავის დაუდევრობით 21 ცხვარი შეაჭამეს ნადირსა და შენ მათ ხმაც არ გაეცი.

ჰა — ისევ ძველი ხელობა მოიგონე?! მაშ ეს მწყემსები სოფელში რისთვის გაგზავნე! ნახე როგორ ჰაჰის არაყს ჩამოგიტანენ! დასხედით მერე მწვანე მინდორზე და ქუდი ცასა ჰკარით!.. ბედნიერი კაცი ხარ ჩემო დიმიტრი, შენთვის არც რევიზიაა და არც უფროსი.

დიდებულად მოქცეულხარ მწყემსები: შაქრო ტაგანიშვილი, შაქრო ტერიშვილი, ფილიპე ლალაზიძე და გაბო ლალაზიძე რომ მოგიხსნია სამუშაოდან. თუ კი სხვა მწყემსები არყითა და ღვინით გიმასპინძლდებიან, რატო მაგათაც არ გამოიჩინეს უფროსისადმი პატივისცემა?! ეხლა წავიდენ და ირიკაონ!

ეგ კი არა ჩემო დიმიტრი, შენ ხომ მწყემსებისათვის სხვადასხვა საქონელს გიგზავიან, ვიცი მოხერხებული კაცი ხარ, ცოტაოდენი რამე გამომიგზავნე. ივან პეტროვიჩი ვნახე, მითხრა — დიმიტრიმ 200 გირვანქა მარმარილოს შაქარი გამომიგზავნაო. ის თუ ნათესავია, მე ხომ მეგობარი ვარ! მე დანამდვილებით ვიცი, რომ შენ მწყემსებს ნახევარ კილო შაქარსაც არ აძლევ, შენთვის და შენი ძმაბიჭებისათვის კი ოთხ-ოთხი კილო გამოგაქვს. მიყავ სიკეთე, ხომ იცი მერე მეც გამოგადგები!

მით უმეტეს, მაგ მიყრუებულ ადგილას ვინ რას დაინახავს, ან ვინ რას გაგიბედავს! მერე მწყემსები ისე გყავს დაშინებული, რომ კრინტსაც ვერ დასძრავენ. თუ ვინმე გაგცა, ერთი შენებურად დაჰყივლე, რომ დავთარები ერთიანად აერიოს.

შაქარს გარდა, კარგს იზამ თუ ერთ გუდა ყველსაც მომაშველებ. მე კაი კაცო, მთავრობის ქონება რაში გეზოგება?!

ეს წერილი, რომ მიიღო, მაშინვე დახიე, ხელში არავის ჩაუვარდეს.

შენი ოსქანა.

## წალვერი

…ცენში სადგურის უფროსად,
შერმენ ჰუმბურიძეა,
მას სადგურის საქმენი,
ყველა ფეხზე ჰკიდია.
არშიყობა ქალებში
მისი მოგონილია,
ღვინო უყვარს და მერე
კაბინეტში ძილია.
ვინ მოარჩენს ამ ტიკჭორას
ვინ უშველის მუდამა,
როდემდის სურს ითარეშოს
ჩვენში მელაკუდამა.

ტიმბელი.

# ?!?

კულაკები ფარულად ხოცავენ წმუშა საქონელს და კერძო ყასბების საშუალებით ფარულად ჰყიდიან.

გაზეთებიდან.



გლეხი ქალი. —რატომ ამ ხორცს ბეჭედი არა აქვს?!

ყასაბი—ვა, მამაცხონებულო, რა [illegible] ვინმე ყოფილხარ!!!

## „სად მცალია"

(სოფ. ქვემო მაღარო)

— ამხანაგო თავმჯდომარე, თესვა გვიანდება, საფრთხეშია, და... რაიმე ზომები უნდა მივიღოთ თუ არა? კრება მაინც მოვიწვიოთ, განვუმარტოთ გლეხებს მნიშვნელობა, და... —ჯერ კიდევ არ დაეთავებია ეს სიტყვები კომკავშირელს, რომ „თავმჯდომარემ" შეუბღვირა და ხმა გააწყვეტინა:

— რა დროის კრებებია? მაგისთვის სადა მცალია?!

—მიუგო საბჭოს „მეთათურმა" ცივად, და /იქვე მეზობელთან აძუნძულდა მაჭრით ყელის დასალბობად...

შეერგება?!

აუ!

# ტელეფონით ხეთში

წკრრრ. წკრრრ. რაწკკკკრრრრ. ხეთის სასოფლო საბჭოა? მაშ? კომუჯრედი? მაშ რომელი დაწესებულებაა — კაცო, ხმა ამოიღე! ტყის გამგის კაბინეტია? ჰოდა, აგიშენდა ოჯახი. სწორედ თქვენთან მაქვს საქმე.

თქვენი თანაშემწე ჯიბელავა თურმე ღვინის სმის შეჯიბრში იწვევს მთელი თქვენი რაიონის მუშა - მოსამსახურეებს... როგორც დანამდვილებით შევიტყეთ მართლა მაგ საქმის სპეცი ყოფილა: ჯერზე თურმე ოთხ კვარტს სვამს, თუ დანივრული დედალიც დააყოლა, მაშინ ხომ ექვს კვარტს თავისუფლად ერევა!

საოცარი ისაა, რომ თითქმის ყოველ დღე სვამს ამდენს და შემდეგ სამსახურში ცხადდება, სადაც საქმეზე მისულ გლეხებს ჰიდაობას უმართავს. ენას სრულებით რომ არ რევს იქიდან სჩანს, რომ სამ-ოთხ სართულიან გინებას მაინც ახერხებს და თუ სიტყვა ვინმე შეუბრუნა, ფიშტო და მისი ჯანი!..

ამბობენ რევოლვერის სროლაც ჩინებულად სცოდნია, ტყვიას გაფრენილ ბუზს არ აცილებს თურმე და რუხაძეს თუ ვერ მოარტყა ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ იმ დღეს შვიდი კვარტი დაელია და საუზმეც მდარე ქონოდა...

ამხანაგო, მისმენ თუ არა?!! რაო? ეს რა ხმაური ისმის ტელეფონის მილში? რას ამბობ კაცო, სიცოცხლე ჩალად არა ღირსო?! უეჭველად გადარეულია ვიღაცაა. ამხანაგო ვინ ხარ, რატომ ხმას არ ამოიღებ?! რაო? თვითონ ჯიბელავა ბრძანდებით?! ღვინის სმაზე ხელი აიღე? მესმის, მესმის? ჩინებული ბაიათები გცოდნიათ! ვის აგინებ ამხანაგო, ასე გამწარებული? ტალახიანი გლეხი შემოსულა თქვენს კაბინეტში? შეხედე, რა უზრდელი ხალხი ყოფილა ხეთაში! რაო მეც შეჯიბრებაში მიწვევთ?! კეთილი, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო...

ოღონდ შეჯიბრის პირობები თქვენი რაიონის მიწა-ტყის კავშირმა შეიმუშაოს! ტელეფონ. კაცო, ამხანაგო, ტვარიშ. რა დაემართა ამ კაცს! მოიცა ხომ არავინ ახრჩობს — ეს რა ხრიალი ისმის? არა, ხრიალი კი არა — ხვრინვის ხმაა... ეტყობა სატყეოს გამგეს სძინავს. ამდენი ლაპარაკით რაზე გავაღვიძებდი?!!

ჯაყვა.

## მკითხავი ქალი

სოფელ დარბაშია
ერთი ვინ[...] ქალი;
სული ავადმყოფია,
მკითხავადაც არი.
გლეხობას ატყუებს,
სწველის ნელა-ნელა,
ასეთ მახინაციებით
ჯიბე გაისქელა.
ყურადღებას არვინ აქცევს,
არც იწუხებს თავსა,
რომ აუკრან კრიჭა
ამ დასაბიელ ქალსა!

მიი

# ჭინჭილაძე—გამომგონებელი

რადგან სოფლად კოოპერატივებშიგაგზავნილი მზა ტანისამოსის დიდინაწილი პატარა ზომისა აღმოჩნდა, აპრაკუნე ჭინჭილაძემ გადასწყვიტაადამიანნების დამაპატარავებელ მანქანა-ქანჩის გამოგონება და თავის გადაწყვეტილებ̈ა უმალვე მოიყვანა სისრულეში. სურათზე: აპრაკუნე ჭინჭილაძე თავის ახლად გამოგონებულ მანქანაზე მუშაობს...



## სცენა ზემო სურებში

**ალფესი** —რავა ჩამოგიშვით კაცო, მაგი ულაშები?

**ვალოდი** —ისე მეკითხები თითქოს არ იცოდე!

**ალფესი** —მაინც თქვი თუ კაცი ხარ.

**ვალოდი** —რაღა ვთქვა კაცო, გამოუსვი ჩემ ცოლშვილს დანა კისერში და ისაა!

**ალფესი** —რავა კაცო, არ იტყვი?

**ვალოდი** —რავა და გლეხის ობლიგაციამ მოიგო კაცო და იგი დალუპული 25 მანეთი შევცდი, ქე ჩევიჯიბე.

**ალფესი** —მერე რა, მაგისანა მეტი არ ჩაგიჯიბია თუ?

**ვალოდი** —ამისანა ჭამას არ მეჭამა კი მერჩია, ქე მომჭრეს თავი მწმენდავ კომისიასთან.

**ალფესი** —ვინ, კაცო! გაიგო პატრონმა თუ რა?

**ვალოდი** —არა, პატრონს რომ გაეგო, იგი რავა გაბედავდა თქმას.. იმ ცხვირმოუხოცმა მსუბ. კავალერისტებმა არ მომცეს საშველი. დეიქცა მისი ოჯახი—ვინცხა მაგათ მსუბუქი დაარქვა. მსუბუქი კი არა, მასე მძიმე მე არაფელი მინახავს, რომ დამაჯდენ კისერზე—მიწასთან გამასწორეს!

**ალფესი** —შენ რომ იცოდი ბრალდებიდან თავის გაძვრენა, რავა დაგემართა მერე მაგი?

**ვალოდი** —რომელ ერთში მემართლებია თავი. ორმოცამდე ბრალდება წამომიყენეს და ამ ერთზე თლათ დამება ენა.

**ალფესი** —დაკა ხელი! შენც ჩემსავით ყოფილხარ!

**ვალოდი** —როგორ, შენც ხომ არ გამოგაგდეს კოოპერატივიდან?!

**ალფესი**—მეც მომაჩემდა იგი კავალერია და არ მომცა საშველი; თურმე მიყურა გლეხებს, რომ წონაში ვატყუებდი და იგიც გაუგიან კოოპერატივის ფართალი რომ კონტრაბანდაში გადავცვალე. ყოლიფერი დოურაკრაკეს კომისიას და მეც ამომისვეს ხმელი ჩალა პირში.

ბზიკი

## მოშვაშორეთ თავიდან

გეცნობებათ მგონი
ჩვენი ხარდიონი:
ბუოლიეთის სიძე,
ნოქარი ანთიძე.
ფეხებზე ჰკიდია
ღარიბი გლეხობა;
მას სამაგიეროთ
უყვარს კულაკობა,
ლამაზ ქალიშვილთა
ხოტბა და შემკობა.
თუ [illegible] ვინმემ
სიტყვის შებრუნება,
მყის იწყებს დინჯად
ლანძღვა და გინება.
ან ვინ გაუბედავს
მხილებას და გმობას,
როცა ნდობით უმზერს
ეპოს გამგეობა.
მრავალი ჰყავს სოფლად
ნაცნობ-მეგობრები
და ამ სითამამით
გაშლილი აქვს მხრები.
მუდამა აქვს მათთვის
ფართალ - სანოვაგე,
მისი [illegible]
„ხალხის მოამაგეს".
მაგრამ ხალხს ვინ ჰკითხავს
რა კაცია იგი,
ფეხებზე ჰკიდია
წესიბა და რიგი.
თუ დიდხანს გაგრძელდა
მისი „მზრუნველობა"
კოოპერატივი
ვა[illegible]ეფლობა.
ამისათვის ხა[illegible]ეს
დროზე უნდა შველა,
თორემ წ[illegible]ობიდან
გარბის თითქმის ყველა.

ძალია.

## უთაური მეთაური

„შოლტო" ინახულე,
ჩვენი კოლ[illegible]ტივი,
მოგვისმინე წევრებს
რასაც გულით ვჩივით.
ჰკითხე ვინც კი შეგხვდეს
გლეხი სოფელ თუზის:
შიშველია იგი,
სულ ფეხზე დგას, თუ ზის?
კოლექტივის წევრებს
ურიგებენ ფართალს,
მაგრამ ძაფი არ აქვთ,
გეტყვი შიშველ მართალს.
ამისათვის დავალთ
ტან და ფეხ-შიშველი,
ძმაო „შოლტიანო"
იქნებ შენ გვიშველო,
ჩვენი თავმჯდომარე,
დადის გარე-გარე,
ყველა ჩვენ დაგვცინის
მტერი თუ მოყვარე.
არც ცენტრი მზრუნველობს
ამ ჩვენს რაიონზე,
ნეტა ვინ მოიყვანს
გამგეობას გონზე?
თუ ასე გაგრძელდა
კოლექტივის საქმე,
გეფიცები „შოლტო"
ველარ მნახავ აქ მე.
ამისათვის დროზე
მოდი, გვითვალყურე
და ვინც ღირსი იყოს,
დაჰკა, შეახურე!
დაჰკარ არ დაინდო,
ჩვენს მეთაურს მისცე,
რომ ყველა მცონარას
გამონელდეს სიცხე!..

წიწაკა.




კახეთის მატარებელი სადგურებზე ძლიერ დიდხანს იგვიანებს, ამიტომ ჭინჭილაძემ გეგმა შეადგინა ამ სადგურების გადასაკეთებლად და მოსაწყობად ისე, როგორც ამ სურათზეა ნაჩვენები.

## დიდი მადლობა!

ჩხარის რაიონის კერძო ვაჭრები უღრმეს მადლობას ვუცხადებთ სოფელ თუზის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარეს ნიკა ნაცვლიშვილს, რომელმაც მთელი თავისი ხორბალი მოგვყიდა ხელსაყრელ ფასებში და პურის დამამზადებელი დაწესებულებები ცი ყინულზე გააცურა...

მონდობილობით ისაკა.

## დეპეშა

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, თვითმკვლელობის მიზნით, გარდაიცვალა თიანეთის კლუბის საალმშენებლო კომისია. გვირგვინების ნაცვლად მიღებული ფული გადაირიცხება კლუბის საალმშენებლო ფონდში.

ჭინჭრაქა.

## ვისაც ჯერ არს

უმორჩილესად გთხოვთ დილიკაურის ოთხწლედის მთელი მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში სასწრაფოდ გაამზადოთ ს[illegible]ამო რიცხვის საწოლები, რადგან სკოლის შენობა წაქცევაზეა და მოკლე ხანში ყველა მის ნანგრევებში მოვყვებით.

ოთხწლედის გამგე.
(გვარი გაურკვეველია).

## ახალდაბა

ალმასკომის სექციებმა
გააჩაღეს ტკბილი ძილი,
მათი სხდომა არ გვინახავს,
ნიკალა გვყავს ცოტა [illegible]ბილი.

— : —

ხიდ - ბოგირებს ვინ დაეძებს,
დეე სტოპოს ხალხმა წყალში.
ასეთ თემის მესვეურებს
ბზე უყრიათ ალბათ თავში.

— : —

რადიოსთვის მოაგროვეს
კარგა ბლომად, ძმაო ფული,
მაგრამ დადგმას ვერ ველირსეთ —
ფარა თუ აქვთ გაქაფული.

— : —

სასილოსო საქმისავის
არ იწუხებს არავინ თავსა,
და აქ მოსულ ინსტრუქციებს
უნახავენ საზრდოთ თაგვსა.

პ. ბლიაძე

## ახალი წესი

რადგან მთელი რიგი დაწესებულებები ს. ნაგომარში უკვე გადავიდნენ ხუთდღიან განუწყვეტელ კვირაზე, ამიტომ მეც გადავწყვიტე ასეთივე განუწყვეტელი ხუთდღიანი კვირა შემოვიღო. ამ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ, საექიმო პუნქტში მხოლოდ ხუთ დღეში ერთხელ ვიქნები.

პუნქტის გამგე
ექიმი ჟღენტი.

## წერილი „შოლტს“

ცაიშის ალმასკომი
„შოლტი“ ძილით ერთობა.
ყურადღებას არ აქცევს —
რას მოითხოვს გლეხობა.

— : —

სოფლად ცუდი გზებია,
შეკეთება სჭირია,
ის ყურსაც არ იბერტყავს,
არ მოგედოს ჭირია.

— : —

ქონ-სამკითხველოს გამგეც
„დიდი საქმის“ კაცია,
მან ჟურნალ-გაზეთები
თაგვის საზრდოთ აქცია.

— : —

კულტმუშაობისათვის
სრულებით არ სცალია,
ან რა გასაკვირია,
ღვინო უყვარს ძალიან!

— : —

ეხლა „შოლტო“ გეხვეწები,
თუ არ დაჯდეს ძვირია,
ჩამოდი და ამ უქნარებს
დაუმჟავე ცხვირია.

ნიბლია.

## მომხმარებლებს

ჩხარის კოოპერატივის გამგეობა ამით აცხადებს, რომ აგვისტოში შეძენილ საზამთროს გაყიდვა არც ერთი განყოფილებიდან არ იწარმოებს. საზამთრო მომხმარებლებს დაურიგდებათ მხოლოდ მომავალი წლის 1 იანვრიდან, რადგან დასილოსებული საზამთრო ბევრად უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი ყოფილა.

პატივისცემით გამგეობა.

## ლოთი-ფოთები

გომის წვიდწლედს ჰყავს „სამება“ —
(მასწავლებლებს ეძახიან.)
გომელებს რაც ადგას მათგან —
სწორე გითხრათ, რომ ახია!!!

— : —

რატომ აჩერებენ იქა —
ლოთი - ფოთობით ხელ-გაშლილთ?
(ალბათ მიხვდით: ვცხებ — ცინცაძეს,
თევზაძეს, ნიკოლეიშვილს!..)

— : —

სოცშეჯიბრის მოსაკვლევად
მოსულთ მიჰყვეს ღვინოს ხელი...
(მასწავლებლობის მაგიერ —
სხვაფერ გაითქვეს სახელი!..)

— : —

ცინცაძე, როცა „მერანმა“ —
დასცა ლაფში, გალეშილი,
გლეხებმა სთქვეს: „ამ ურილმა
როგორ ალგვიზარდოს შვილი“?!

ტ—ნ.

## ვისაც უნდა!

არა კოლექტივის წევრ გლეხებს სხვადასხვა საჭიროებისათვის ვაძლევ კოლმეურნეობის წევრობის მოწმობებს. თითო მოწმობა ღირს ერთი ინდაური და ერთ ჩაფი ღვინო.

თავმჯდომარე ვანო გურგენოვი.

## დავკარგე

სიმთვრალის დროს დავკარგე ჩემი მამასახლისობის დროინდელი მათრახი, რომელსაც ტარზე თბილისის მაზრის უფროსისა და ჟანდარმების პოლკოვნიკის მიერ ბოძებული „პლასტინკა“ აქვს დაკრული. მპოვნელი დიდ სასჩუქარს მიიღებს.

დილომის საბჭოს მდივანი ვასილ გაბუნია.

## ძლივს მოვიშორე

ღმერთმა დაამხოს ზედა-საზანოს სასოფლო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარის — იასონ კობახიძის ოჯახი, რადგან მან შავ სიაში მიმაწერა. ეზეკია ვარდოსანიძე კერძო სამიკიტნოში ვაჭრობსო.

იმოდენა ნალოგები დამადო, რომ სამიკიტნო ზე მივაკეტე. მასთან არაფერი გავიდა, არც პურ-ღვინო, არც ქრთამი, არც ნათესაური კავშირი.

მის გადაყენას ძლივს მოვესწარი და გავბედნიერდი კაცი!

ღმერთმა ააშენოს ვასილ დავლიანიძის ოჯახი!

დიდიხანი არაა — რაც ზედა-საზანოში საბჭოს თავმჯდომარეთ მოგვევლინა, მაგრამ იმდენი კარგი საქმე მიყო, რომ. შავი სიიდან ამომხსნა, კერძო სამიკიტნოს გახსნის უფლებაც მომცა, არც პატენტს ვიღებ, არც ნალოგს ვიხდი და ღარიბ გლეხებს ტყავს ვაძრობ.

ეს კიდევ არაფერი, ჩვენი თავმჯდომარე ნივთიერ დახმარებასაც მიწევს. როცა დროს იხელთებს ჩემს სამიკიტნოში ქეიფობს, რაიონიდან ჩამოსულ ამხანაგებსაც ჩემს სამიკიტნოსკენ მიუთითებს, იმ საბუთით, რომ გლეხკომის სასადილოში სიმღერა აკრძალულიაო!

ეს კაცი რადგან ამდენ დახმარებას მიწევს, მინდა სამიკიტნოში ამხანაგათ შევიყვანო. მერე ჩემს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფს.

გლარჯა.

## „ცოლი არ მაძლევს ნებას“

— ასე, აფხანიკებო, როგორც გითხარით, არაა მასთე კაი, კაცი პარტიული იყო და ყოლიფერ კოლექტიურს გაურბოდე, ეს მემარჯვენე შეცანჯალებაა და სხვაი „ნიჩავო“, აბა! თვარა, აპა რას უნდა მიეწეროს, ძამია, დილიკაურელ აფხანიკების: იპოლიტე ცერცვაძის საქციელი, რომელიც გაიძახის: „თავცოცხალი რავა მივცემ უფლებას ვინცხას, რომე ჩემ ყანაში მოსული სიმინდი გაანაწილესო?!“

ბა? არაა კაი, ბოშო ასთე. ან კიდევ კოტე და აკაკი პერამიძეები, ვალიკო და სერგო კახნიაშვილები, ანდა პარმენ ჩუბინიძე, რომლებიც კოლექტივიდან გაიქცნენ?! აგი, უნდა გითხრათ, სწორად, რომე „მემარცხენეობაზე“ უფრო მემარჯვენეობაა და იგი რაცხა „უკლონი“-ა. თვარა ბოშო, რას გავს ფუთის პარტუჯრედის მდივანის — სალარიძის „დეზერტირობა“, კოლექტივის არტელში რომ ჯერაც არ შეუყვია ცხვირი?!

განაგრძობდა გრძელ „რეჩს“ ტრიფონ ბანცაძე განთიადის აქტივის კრებაზე და თან ოფლს იწმენდდა.

— კი, მარა, შენ რატო არ შედიხარ კოლექტივში? — შეეკითხა ერთი აქტივისტთაგანი.

— მე? მე... [illegible], ხომ იცით ამ ქალების ის ტერიკიანი ხასიათის ამბავი, რაცხა ცოლი არ მაძლევს ნებას.— ენა დაება ტრიფონს და პარტბილეთს გადახედა უკანასკნელად.

## უბედური შემთხვევა

ეს შემთხვევა ვისთვისაა უბედური, ამას ბოლო გვაჩვენებს, ნამდვილად კი საქმე შემდეგშია:

ჩვენი ჟურნალის — „შოლტი“-ს წერილებს ფოსტიდან შემთხვევით მოჰყვა დახურული წერილი სოფელ ხცისის საბჭოს თავმჯდომარის ხვედელიძის სახელზე. უბედური შემთხვევა იმაში მდგომარეობს, რომ რედაქციის თანამშრომელს სხვა წერილებთან ერთად ეს წერილიც გაუხსნია. აი წერილის შინაარსი:

„შენ ძალიან კარგად იცი საბჭოთა მთავრობა როგორ გვებრძვის და ცდილობს ჩვენი — კულაკების კლასის და ყველა ჩემნაირი ხალხის მოსპობას. განსაკუთრებით არა გვზოგავენ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის დროს. ყველა მეზობელ სოფლებში ეხეთი ამბავი დაატრიალეს. შენკი ჩემო მართლა ძმაო და პირის ზიარებავ ვაჟკაცობა გამოიჩინე, ეშმაკს მიაფურთხე და გადასახადისაგან სრულიად გამანთავისუფლე.

მართალია ღარიბი გლეხობა ამან ძალიან გააბრაზა, მაგრამ შენ მაინც შენი გაიტანე და ხათაბალა ამაცილე თავიდან. სამაგიეროდ მე რასაც დაგპირდი ერთი ორად გისრულებ. ჩემი სახლი კაცის ხელით გიგზავნი იმ თანხის ნახევარს, ხუთ ცხვარსა და 5 ჩაფ მაჭარს, დალიე, შეეგერგოს, გაამოს. მაგ წილიანმა გლეხებმა კი თავი ქვას ახალონ. საცა თავისა თქვან — ჩემიც იქ დაკვეხონ.

მომავალში პატივისცემა კიდევ ჩემზე იყოს. იცოცხლე, შენი თავი ნუ მომიშალოს

შენგან დიდად დავალებული ბორა
მაზიაშვილი“.

ჩვენ ამ წერილს სახუმარო ჟურნალში არ დავბეჭდავდით, ან აქ რა არის სახუმარო,— თავმჯდომარეს კულაკი უხსნია პიროვნულ დაბეგვრისაგან და არც ის არის სახუმარო, რაც ალბათ, ამ დაბეჭდვას მოჰყვება ბოლოს. საქმე იმაშია, რომ ეს წერილი ჟურნალშიაც მხოლოდ შემთხვევით დაიბეჭდა.

აი ზოგჯერ შემთხვევით როგორ ილუპება კაცი!

ჩანგალი.

## იაფად!!!

ს. თერჯოლის ოთხწლედის შენობაში მოვაწყეთ დაგვიანებულ მგზავრებისათვის ცხენების თავლა და ბაკი. სკოლის შენობაშივე მოვაწყეთ საუცხოვო სალორე. ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. შემოსული [illegible] გადაირიცხება საყოველთაო-სავალდებულო ქონის ფონდში.

ოთხწლედის გამგე
გველესიანი.
თანაშემწე თევდორაძე.

## ექიმებს

სრულიად მოულოდნელად დაეძინა ჩოხატაურის რაიკოლმეურნეობათა კავშირის გამგეობას. როგორც გლეხობა ამბობს, მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ასეთი ძილი ჯერ არავის უნახავს. ყველას ერთნაირად აქვს პირი დაღებული. ხვრინავენ ერთად, ზოგჯერ თითქოს იხრჩობიან.. აგერ ერთი თვე სრულდება, ვერავითარმა წამალმა ვერ გასჭრა. მოსალოდნელია მთელი გამგეობა თან გადაჰყვება ძილს.

თუ რამე წამალი იცით— დიდ სასყიდელს გადავიხდით. სასწრაფოდ გვაცნობეთ..

შუბანის არტელი
„წითელი განთიადი“.

## საჩვენებელი ბაღი

ს. ორპირის სარაიონო საცდელ-საჩვენებელ ბაღის დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე. გლეხები იხდიან 50 კაპ., მოწაფეები 25 კაპიკს, საქონელს: ძროხებს, თხებს, ჯორებს შესვლა შეუძლიათ ჯგუფ - ჯგუფად უფასოდ.

ორპირის სასოფლო საბჭო

## ველისციხეში

— კაცო! იმოდენა ფეხსამოსები მოვიდა კოოპერატიაში და ასე უცბად როგორ გაყიდეს, რომ ერთი წყვილი არ შემხვდა?!.

— შენ ჩემო პეტრე, სწორეთ არა გცოდნია! კი არ გაყიდეს, არამედ კოოპერატივის მოსამსახურეებზე დაარიგეს.

ლასტი.

## ერწო

— შოფერი ტკბილად ხვრინავს.
ტრაქტორი გდია ოქმად,
ვერ გაიგია იქნებ—
ხვალ არ ექნება ლუკმა.
მაგრამ შოფერს რას ვერჩი,
თვითონ არ მინდა შრომა,
დე, დაუხნავი დარჩეს,
შინ თუ გრჩევნია ჯდომა.
დე, ისევ კერძოთ მივყვეთ
ახალ ცხოვრებას ფეხით,
რას ქვია კოლექტივი
და ან მშრომელი გლეხი!
ასე მოსთქვამდა შოლტო,
„ნამგალის“ თავმჯდომარე.
სანიკიძეა გვარად—
ქეიფობს შინ და გარეთ
ეს არის დღევანდელი
მდგომარეობა კოლექტივის,
რომელიც ახალ ყოფით
დაორგანიზებული სტარის.

ხევსურიშვილი.

## მადლობის მაგიერია?!

სოფ. გორის უბანში კბილის ექიმის უყოლობის გამო ადგილობრივი დალაქი ეწევა მის მაგიერობას, რომელიც გლეხებს ჩვეულებრივი სალურსმე გაზით აძრობს კბილებს.

გლეხკორის წერილიდან.



გლეხი. —შე ოჯახ დასაქცევო, რაზე მომკალ კაცი, ჯანსაღი კბილი რაზე ამომაძვრე?!..

დალაქი. —სულ ერთია, დღეს არა—ხვალ ეგ კბილიც ხომ ამოსაღები გახდებოდა!

## სილოსის ზრალია

ჩვენი ბრიგადა სტალინისის რაიონში ჩავიდა. მე წილად მხვდა სოფელ ხცისის ხანძავ - ნათესების დათვალიერება, საითკენაც ბინდობისას გავემგზავრე. სოფელთან უკვე მიახლოვებული ვიყავი, როდესაც უეცრად, ფეხქვეშ მიწა გამომეცალა და სადღაც გავექანე. 5 წუთს ჰაერში ყოფნის შემდეგ თავი უზარმაზარ ორმოში ამოვყავი. ხოლო მხარი და ფეხი მოვიტეხე.

თავიდან თხებამდე გალუმპული აქიდანაც ამოველ და კვლავ გზას გავუდექ.

ახლა კი დიდი სიფრთხილით გახვავრძე გზა, მაგრამ სიფრთხილე რას მიშველიდა, დაღამდა და აღარაფერი სჩანდა.

უეცრად ყირაზე გადავეშვი, ქვეშიდან საშინელი ბღავილი შემომესმა. თურმე ორმოში ჩემამდი ხარი ჩავარდნილიყო და როდესაც გამწვეტებულ რქებზე წამოვეგე, მხოლოდ მაშინ მივხვდი ჩემს უბედურებას.

ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს. როდესაც თვალები გავახილე თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში აღმოვჩნდი ფეხებ დამტვრეული, გვერდებ დალეწილი, ცალთვალგამოთხრილი.

ასეთი ბედი კი მეწვია ამ სასილოსე ორმოების წყალობით..

## ვინ აღმოაჩენს

სოფელ ზოვრეთის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ვაზი“-ს შეფობა იკისრა ფერო-მარგანეცის ქარხანამ, რომელიც შეგვპირდა სამკითხველოს მოწყობას, რადიოს შეძენას და სხვა მრავალ სიკეთეს. კარგი გამასპინძლების შემდეგ, შეფები გამოგვეთხოვენ იმ პირობით, რომ მეორე კვირამდე უნდა ჩამოსულიყვენ, მაგრამ... მას შემდეგ, აი ნახევარ წელზე მეტია, და შეფები აღარსად სჩანან. შეფების მიერ შეპირებული რადიო იმას—ვინც ჩვენს უკვალოდ დაკარგულ შეფებს აღმოაჩენს სადმე.

არტელი „ვაზი“-ს კოლმეურნეები.

## მადლობა

ულრმესი მადლობა ხარაგოულის რაიონის მილიციას, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ხელი შეგვიწყოს „მოღვაწეობაში“ და არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჩვენ მიერ გაძარცულ გლეხების ჩივილსა და გოდებას.. მადარიჩი ჩვენზე იყოს.

რაიონის ქურდ-ბაცაცების ბრბო.

## ს. თუშის

კოოპერატივის წევრების და ყველა ღარიბ გლეხობის საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ კოოპერატიულ დუქანში ტყუილად მოსვლით ნურავინ შეიწუხებს თავს. რადგან მთელი სამრეწველო საქონელი გამგეობის წევრებზე იქნა განაწილებული.

პატივისცემით გამგეობა.

## ბაკურიანი

სასადილოც ვინახულოთ,
ქებულია იგი,
აქ არა დროს არ გვინახავს
დაცული წესრიგი.
ყველა ინვალიდიზია
ოფიციანტები,
და მოთხოვნილ კუჭის საზრდოს
გვიან ელირსები.
სასადილოს გამგეთ გახლავთ
ჩალაბიევ ეორა,—
ამ ბოლო დროს რომ დაიწყო
ამაყობა, ფხვორა.
პროტექციის მოყვარეა,
გმირი-გამგეთ მჯდომი,
ძველი ვაჭარი მიილო—
პანტელეიმონი.
გლეხებს ხშირად ეჩხუბება,
რეკავს ლანძღვით კარში,
შოლტო, ერთი მაგრა მოსცხე, —
გააციოს ტანში!

ახალდაბელი

# აქა ამბავი ლურსმანზე

— გეთაყვა, ამხანაგო-ტავარიჩ, ერთი გირვანქა ლურსმანი მინდა, და... —დაელრიჯა შუახნის დურგალი რკინეულობით სავაჭრო მაღაზიის ნოქარს.

— ორდერი გაქვს?

— არა.

— მაშ არც მე მაქვს...

— მაშ რა ვქნა?

—ეგ შენი საქმეა. აქ ორდერითაა, მაგრამ არის ადგილები, სადაც არამც თუ ორდერი დაგჭირდება, არამედ ფულიც არაა საჭირო...

— ა?! —თვალები დააჭყიტა დურგალმა.

— ა, კი არა, მართლა... მიხვალ, მინდორში ყრია,

— სადაა?!

— აი თუ გინდა მუქთა კუბოში ჩაწვე! წახვალ?! შორს რომაა?

— გინდაც ამერიკაში იყოს, დავეწევი და გავუსწრებ კიდეც...

— არა, უფრო იქითაა, ნოსირის კონცხის ნავთსადგურთან, სადაც „მეთაურთა“ უთაურობით სკოლის შენობისთვის მოტანილი ლურსმანი მინდორში ყრია უპატრონოდ... **ამბა!**

# წერილი კასპიდან

ეს ვაჭარი კრიხელი
გაქექილი კაცია,—
„მომენტების“ მიხედვით
უყვარს დემონსტრაცია!
მოწმობაც ხომ აილო
თემ-საბჭოდან ფარულათ:—
„არ არის უთარილო
სისხლი ღვარა — ღვარულათ!..
ათას ცხრაას ხუთ წელში
იყო ბრძოლის გმირია,—
მას ნასროლი ტყვიებით
მტერი გაუგმირია!..“
— მაგრამ მე მხურს მოგითხრო,
სიტყვა გითხრა მართალი,
გუშინდლამდე დუქანი
ჰქონდა სავსე ფართალით!..
ფხიზელ ჯაშუშათ გახლდათ
დიმიტრ ამილახვარის,—
ბევრს მებრძოლს მან ქურდულათ
ჩასცა ზურგში ლახვარი!..
დღესაც ვაჭრობს ისევე
უყვარს ცარცვა მშრომელის,
ამბობს: — „სანამ ცოცხალვარ
წელში მომხრის რომელი?!
მოწმობები ბევრი მაქვს
მებრძოლ დაუღრომელის,
შემდეგშიაც დღესაზე
...რგი ბედი მომელის!..
...ემ შვილს დათიკუდასა
(ტრაპეზდია ეძლევა, —
ჩამძვილ მამის გაგებით
მათ ...რა აქვთ შეძლება!..
ამ ჩი..ნ კოოპერატივს
პაპიროსი ჰქონია. —
ნოქარიც ვაჭარია
მასთან საქმე მქონია,
გამიკეთდეს და შემდეგ
მოგებითაც გაგყიდი, —
...არიპო გლეხუკებო,
როგორც გინდათ აყვირდით!..“
„შოლტიანო“ გაგაცან
ვაჭარი აფერისტი,—
კარგს იზამ თუ გვანახვებ
მისე კრიხელს ფერ მიხდილს!..

სამი ახკორი.

# ჩვენი ფოსტა

**ჩანბალს.** „სოფელ ქსოვრისის ფოსტის „გამგეც“ — მართლა გასახოფლო - სამეურნეო არტელს ძგე ყოფილა. მუშა საქონელი ხიმშილით ელუპება, მაშინ, როდესაც მას 800 ფუთზე მეტი ბზე მინდორში უპატრონოდ უყრია“ — გვწერთ თქვენ და გვეკითხებით, რის ნიშანია ესო. პასუხი ნათელია, ეს უსათუოდ იმას ნიშნავს, რომ არტელის გამგეობას ბზე არა მარტო მინდორში უყრია, არამედ — ბლომად ჰქონია თავშიც.

**ხვიჩიას.** აი თქვენი ლექსის ერთი ადგილი:

**ბორჯომის ფოსტაში**
**გაზეთებს ვერ მონახავთ.**
**წერილები ქარს მიაქვს**
**გაზეთები მიკიტანს...**
**ძაღლი პატრონს ვერა სცნობს,**
**ვოდელია ნანინა...**

თუ ეს თქვენი ნაცოდვილარი მართლა ლექსია, მაშინ თქვენი მი ამას არ დააყოვნებს.

**ტრიფონ ბანცაძეს.** თქვენ გვეკითხებით: **„ცოლი არ მაძლევს ნებას კოლექტივში შევიდე და როგორ მოვიქცეო“...** ეხლა ჩვენ ვეკითხებით სოფელ განთიადის კოლექტივის გამგეობას და პარტუჯრედს:

რა იხრათ გინდათ თქვენს რიგებში ისეთი კაცი, რომელსაც თავის ნაცვლად მხრებზე კომბოსტო ჰქონია მობმული?!

**ს. ბაკურციხის** პარტუჯრედის მდივანს **ვანო სვიმონიშვილს.** თქვენ გვწერთ, რომ გლეხობას სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შესაძენი ფული არ გააჩნიათ და ამიტომ სესხის სრულიად მოხსნას მოითხოვთ.

**მოხსნა საერთო ძნელი საქმე არ არის. ალბათ გურჯაანის რაიკომი ამას არ დააყოვნებს.**

# გუბეში მოეჩვენა



**საბჭოს თავმჯდომარე** — შეხეთ ამ ლაწირაკ გლეხკორებს ისევ გამოუჭიმივარ კედლის გაზეთში?!..

### ანკეტა

გვარი — ჩქოფონია,
სახელი—დიანოზ,

რას აკეთებდი 1929 წლამდე—ვვაჭრობდი.

დღეს რას აკეთებ—მარტვილის კოოპერატიულ სასადილოს გამგეთ ვარ.

რომელ კავშირს ეკუთვნი—კულაკებისას.

რომელმა კავშირმა გადაგზავნა სამუშაოზე—პროტექციამ.

სპეციალობა—ქურდი.

ვის შეუძლია გაგიწიოს თავდებობა—მარტვილის კოოპერატივის გამგეობას.



შეხეთ ამ სეირს, წუწკების
მთელი ლაშქარი გაება.

ჩვენთვისა სთხრიდენ სამარეს
თვითონ შეექმნათ ვაება...

Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук